ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13221953**
თარიღი:**14/07/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. N1-ში, ,,ახალციხის ციხის" ტერიტორიაზე (ს.კ 62.09.51.255) N58 შენობის გადახურვა (დახურული ფართი 43,5 კვ.მ) და ღია ფართი 134,4 კვ.მ., განკარგოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით. N58 შენობის გადახურვის (დახურული ფართი 43,5 კვ.მ) საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 1044,00 (ათას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობითა და ღია ფართის 134,40 კვ.მ. საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 1612,80 (ათას ექვსას თორმეტი და 80 თეთრი) ლარით, სულ საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 2656,80 (ორი ათას ექვსას ორმოცდათექვსმეტი და 80 თეთრი) ლარის ოდენობით, შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის'' 2022 წლის 29 ივნისის N317 აუდიტორული დასკვნის თანახმად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ^{ა}).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი